პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ФИЗКУЛЬТУРА И СПОРТ

№ 27 (5057)

1974 წ. 7 თებერვალი, ხუთშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და კოშაკაეშვირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1984 წლის 18 აპრილიდან

როგორც ვიუწყებოდით, ამ ცოტა ხნის წინათ დაიწყო ზემარათონული სათხილამურო გარბენი უსტ-კამენოგორსკიდან მოსკოვამდე, რომელიც ეძღვნება საკავშირო შეჯიბრებას მშდ კომპლექსის მრავალჯიდში გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზზე. მარათონში მონაწილეობს ხუთი უსტ-კამენოგორსკელი სპორტსმენი, რომელთაც მოსკოვამდე 4500 კილომეტრი უნდა გაიარონ.

ზემარათონი წარმატებით გრძელდება. გზადაგზა უსტ-კამენოგორსკელი ახალგაზრდები პროპაგანდას უწევენ მშდ კომპლექსს, მონაწილეობენ მასობრივ შეჯიბრებებში.

• • •

სურათზე: სათხილამურო ზემარათონის მონაწილენი გ. ზაბარჩენკო და ვ. დიდენკო სტარტს იღებენ ცელინოგრადში „კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზზე გამართულ მასობრივ შეჯიბრებაში.

დ. სმირნოვის ფოტო.



სტუდენტთა სპორტული ახალსახლობა

ზაპოროჟიეს სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტებს ახალსახლობა აქვთ: მწყობრში ჩადგა აუდიტორიულ-სპორტული კორპუსი, რომელიც ერთ-ერთი უდიდესია უკრაინაში.

მრავალსართულიან კორპუსში, სალექციო აუდიტორიების გარდა, სტუდენტთა განკარგულებაშია სპორტული თამაშების, ტანვარჯიშის, ფარიკაობისა და ძალოსნობის დარბაზები, აგრეთვე, 50-მეტრიანი ტირი, სადაც სამიზნეები ავტომატურად იცვლება.

ახალი კორპუსის მწყობრში ჩადგომა მომავალ ექიმებს კიდევ უფრო გაუადვილებს მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩასაბარებლად მზადებას, თუმცა უკვე დღესაც სასწავლებლის ყოველი მესამე სტუდენტი აჩ კომპლექსის ნიშნოსანია.

(საკდესის კორ.).

ზაპოროჟიე.

დიდი მაია თუ პატარა მაია?

ზვორიკინა — ჩიბურდანიძე 0,5:3,5

რანიკუ — სემიონოვა 3,5:0,5

ზვორიკინა



ჩიბურდანიძე

მოსკოვი, 6 თებერვალი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). გუშინ ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში გაიმართა ქალთა საკავშირო თასის გათამაშების ნახევარფინალური მატჩების დასკვნითი, IV პარტიები.

მ. რანიკუს (ტალინი) ლ. სემიონოვასთან (კიევი) დიდხანს არ უბრძოლია და მეტოქეს ყაიმზე შეუთანხმდა.

ყაიმი მ. ჩიბურდანიძესაც (თბილისი) აძლევდა ხელს, მაგრამ მან ბრძოლა ამჯობინა. ზვორიკინამ სიცილიური დაცვა გაითამაშა და მალე გათანაბრა მდგომარეობა. ცენტრში მსუბუქი ფიგურების გაცვლას პიკების გაცვლაც მოჰყვა. მაიამ ერთადერთი ღია ვერტიკალი დაიპყრო, მაგრამ მისი შენარჩუნება შეუძლებელი აღმოჩნდა. ზვორიკინამ სვლების გამეორება დაიწყო, მაგრამ მაია არ აპყვა, რაკი მეტოქე ცატნოტში იყო.

კუთა ენდშპილში მეტოქეებმა საუცხოოდ განალაგეს ძალები, მაგრამ რეალური არაფერი ჩანდა. ამიტომ ჩიბურდანიძემ მეტოქეს ყაიმი შესთავაზა. ზვორიკინამ არ მიიღო ეს წინადადება. შემდეგ კიდევ გაკეთდა რამდენიმე სვლა და პარტია გადაიდო ამ მდგომარეობაში:

47-ე სვლა ჩიბურდანიძემ ჩაიწერა. ამ დილით თამაში განახლდა. ზვორიკინამ და მაიამ თითო სვლა გააკეთეს და ყაიმზე შეთანხმდნენ.

გთავაზობთ ამ პარტიას:

ჩიბურდანიძე — ზვორიკინა

სიცილიური დაცვა

1. e4 c5 2. ᲑF3 Ბc6 3. d4 cd 4. Ბ:d4 ლc7 5. Ბc3 Ბf6 6. ᲙE2 e6 7. a3 a6 8. ᲙE3 b5 9. 0—0 ᲙB7 10. Ბb3 Ბe5 11. f4 Ბc4 12. Კ:c4 bc 13. Ბd2 ᲙE7 14. ლE2 ეc8 15. ᲙD4 0—0 16. e5 Ბd5 17. Ბ:d5 Კ:d5 18. Ბe4 Კ:e4 19. ლ:e4 d5 20. ed Კ:d6 21. Ბgh1 ლc6 22. ლe2 ეfd8 23. ეf3 ლd5 24. ᲙC3 ᲙF8 25. ეff1 ლf5 26. ეad1 ე:d1 27. ლ:d1 ლe4 28. ლd2 ᲙC5 29. ლd7 ლc6 30. ლd1 ლe4 31. ლd7 ლc6 32. ლ:c6 ე:c6 33. ეd1 ეd6 34. ე:d6 Კ:d6 35. g3 Ბgf8 36. Ბgg2 f6 37. Ბgf3 Ბge8 38. Ბge4 ᲙC5 39. ᲙD4 ᲙD6 40. ᲙA7 Ბgd7 41. Ბgd4 e5+ 42. fe Კ:e5+ 43. Ბg:c4 ᲙB2 44. a4 Ბgc6 45. c6 ᲙC1 46. ᲙF2 ᲙA3 (აქ პარტია გადაიდო) 47. g4 g6. ყაიმი.

ამრიგად, ფინალში თასისთვის ერთმანეთს შეხვდებიან მ. რანიკუ და მ. ჩიბურდანიძე. მატჩი 8 თებერვალს დაიწყება.

პრეტენდენტთა მატჩები

პეტროსიანი — პორტიში 2:0

კალმა-დე-მალიორკა (ესპანეთი). სამშაბათს საკონცერტო დარბაზ „აუდიტორიუმში“ გაიმართა პეტროსიან — პორტიშის მატჩის IX პარტია. თეთრებით სპბჭოთა მოჭადრაკე თამაშობდა.

ბრძოლა მძაფრად მიმდინარეობდა. თითქმის ხუთი საათის მანძილზე მაყურებელი შეუნელებელი ინტერესით ადევნებდა მას თვალს. პეტროსიანმა საუცხოოდ გამოიყენა უნგრელი დიდოსტატის უზუსტობანი და უკვე 27-ე სვლაზე მეტოქეს ფარ-ხმალი დააყრევინა.

ნახევარფინალში გასასვლელად პეტროსიანს მხოლოდ ერთი მოგება სჭირდება დარჩენილ შვიდ პარტიაში. X პარტია პარასკევს გაიმართება.

ბოგოტა

▲ **სანტა-მორიცი.** აქ გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატი ბობსლეიში, 1575-მეტრიან ტრასაზე ორადგილიანებით შეჯიბრებაში ოქროს და ვერცხლის მედლები გერ-ის წარმომადგენლებმა ვ. ციმერმან-ა. უცშნაიდერმა და გ. ჰაიბლ-ფ. ოსლვერტერმა მოიგეს. III ადგილი შვეიცარიელებს ფ. ლუდსა და კ. ჰაიზელს ხვდათ. ციმერმანმა თანაგუნდელებთან ერთად იმარჯვა ოთხადგილიანებით შეჯიბრებაშიც.

მძლეოსნობა

▲ **ლოს-ანჯელესი.** დახურულ დარბაზში გამართულ შეჯიბრებაში ტ. მარკმა (აშშ) 1000 იარდზე რბენაში მსოფლიო მიღწევა დაამყარა — 2.26,7. დ. სტოუნსმა სიმაღლეზე სტომაში აშშ-ს რეკორდი დაამყარა დარბაზებისთვის — 224 სმ.

რეგბი

▲ **ბრენოგლი.** აქ ჩატარდა საერთაშორისო მატჩი რეგბიში ინგლისისა და საფრანგეთის ეროვნულ გუნდებს შორის. ინგლისელებმა გაიმარჯვეს — 24:5.

ავტოსპორტი

▲ *რიო-დე-ჟანეირო. 1-ელი ფორმულის მანქანებით გაჩართული საერთაშორისო ასპარეზობა „გრან-პრი“ მოიგო მასპინძელმა ე. ფიტიპალდმა, რომელმაც საათში 183,520 კმ სისწრაფის განვითარება შეძლო. II ადგილზეა შვეიცარიელი კ. რეგაცონი, III — ჯ. იქსი (ბელგია).*

ცურვა

▲ **ქრაისტჩერჩი.** ბრიტანული თამაშების ნამდვილი აღმოჩენაა 14 წლის ავსტრალიელი მოცურავე გოგონა ს. გრეი. აქ მან 100 და 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვა მოიგო: შესაბამისად 59,14 და 2.04,47 აჩვენა.

ბალახის ჰოკეი

▲ **მელბურნი.** ბალახის ჰოკეიში მსოფლიო თასის მფლობელმა, ნიდერლანდების ნაკრებმა აქ ორი საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა გამართა: ვიქტორიის შტატის გუნდს მოუგო — 3:2, მაგრამ ავსტრალიის ნაკრებთან დამარცხდა — 1:2.

ტრამპლინი

▲ **კლინგენთალი.** აქ, აშბერგის ტრამპლინზე, ჩატარდა გდრ-ის „მფრინავ მოთხილამურეთა“ ჩემპიონატი. გაიმარჯვა ბ. ეკშტაინმა — 242,8 ქულა (ნახტომები — 97,5 და 96,5 მ). ჯ. გლასს ორივე ცდაზე სარეკორდო შედეგები ჰქონდა: პირველად იგი 98,5 მეტრზე გადახტა და სტილშიც უმაღლესი შეფასება — 20 ბალი მიიღო. მეორე ცდაზე მან ნახტომის სიშორით ყველას აჯობა — 100 მ, მაგრამ დაშვების დროს წონასწორობა დაკარგა და სტილში დაბალი შეფასება ხვდა, რის გამოც საბოლოოდ VI ადგილს დასჯერდა.

ენგურჰესის მშენებლობა, ილიჩის ნათურების გარდა, კიდევ ბევრ სიკეთეს მისცემს ხალხს. ესაა სარწყავი სისტემა, დასვენების ზონები, სპორტული ბაზები და ბევრი სხვა მნიშვნელოვანი ობიექტი. გალის ზღვის მახლობლად, სოფელ რეჩხში, შენდება ოლიმპიური ბაზა ნიჩბოსნებისთვის. გალის ზღვას კი უკვე „ცდიან“ საქართველოს ქალთა ნაკრების წევრები.

• • •

სურათზე: საქართველოს ქალთა რვაადგილიანი ნავი საწვრთნელ მეცადინეობაზე.

მ. ზაქარეიშვილის ფოტო.

(ჩვენი სპეც. კორ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონიდან სულიერებით

ახალციხე

დამთავრდა ახალციხის ვაჟთა საჭადრაკო ჩემპიონატი, რომელშიც 12 კაცი მონაწილეობდა. ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა ახალციხის ქართული საშუალო სკოლის მასწავლებელმა, ვეტერანმა პირველთანრიგოსანმა გ. ნიკოშვილმა. II ადგილზეა ამავე სკოლის მასწავლებელი რ. კილასონიძე.

ვ. დათებაზვილი,
შეჯიბრების მსაჯი.

გორი

სამ დღეს გაგრძელდა რაიონის გუნდური პირველობა ჭადრაკსა და შაშში. მოჭადრაკეთა ტურნირში, რომელშიც 7 გუნდი ეჯიბრებოდა ერთმანეთს, გაიმარჯვა გორის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის ნაკრებმა. მოშაშეთა შეჯიბრებაშიც ჩემპიონის სახელი ამ კოლექტივმა მოიპოვა.

ე. კოშკაძე,
გორის რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე.

დამსვენებლის რეპლიკა

კადამიანი იმედით ცოცხლობს

ბაკურიანში ვიყავი. დათოვლილ ფერდობებზე მოთხილამურეები სრიალებდნენ. ცდუნებას ვერც მე გავუძელი და სპორტიხვენტარის გამქირავებელ ჯუხტს ძივადეკი.

როცა 42 ზომის სათხილამურო ფეხსაცმელი მოვთხოვე, იქ ყოფთ გაეღიმათ.

— ძმობილო, მეტად დიდი ფეხი გქონია, — მითხრა ერთმა.

— აქ ვერც ნორმალურ თხილამურებს იშოვით, — დასძინა მეორემ.

— არც ციგები და ციგურები აქვთ, — დაუმატა მესამემ.

— თუმცა, ციგურებს მოგცემთ, თუ... 39 ნომერს იკმარებთ, — მითხრა გამქირავებელმა ნ. ცხოვრებაშვილმა და, როცა სახეზე გაოცება შემატყო, დასძინა: ფეხსაცმელები მხოლოდ პატარა ზომისა გვაქვს. დიდი ზომისა სულ სამი წყვილია და სამივე გავაქირავეთო.

შემდეგ ცხოვრებაშვილი მიუბრუნდა ორ ახალგაზრდას, რომლებიც „არაფრისგან“ ციგის აწყობას ცდილობდნენ.

— ბიჭებო, დამიჯერეთ, არაფერი გამოგივათ, — უთხრა მათ გაშჭირავებელმა.

ბიჭები საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები ჰ. ბაზაშვილი და თ. მამისთვალოვი აღმოჩნდნენ. მათ გამქირავებელს ერთი შეხედეს და თავიანთ საქმეს მიუბრუნდნენ. რას იზამ, ადამიანი იმედით ცოცხლობს!

— ნუთუ საქართველოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საბინისტროში არავის აღელვებს დამსვენებელთა ბედი?!

კიდევ რაღაც მინდოდა მეთქვა, რომ ამასობაში ვიღაცამ 42 ზომის გვერდებგამოფატრული ფეხსაცმელი დაბრუნა. ისე ვეცი, როგორც უკანასკნელ იმედს.

ახლა თხილამურები გახდა პრობლემა. ერთი წყვილი ძლივს შევარჩიე და გახარებულმა ერთ-ერთ ფერდობს მივაშურე. მოშლილი სამაგრით ძლივს მოვირგე თხილამურები და დაშვება ვცადე, მაგრამ... ადგილიდანაც ვერ დავძარი. თუმცა, ეს წინასწარ უნდა მცოდნოდა: დალურსულ, ძირდახორკლილ თხილამურს ადგილიდან რა დაძრავდა?!

გაწბილებულმა „ინვენტარი“ უკანვე დავაბრუნე, უფრო სწორად, გამოუცდელმა დამქირავებლებმა ხელიდან წამგლიჯეს.

გაშქირავებელ ჯუხტში საშიხლად ყინავდა.

ა. გურასაშვილი.
ბაკურიანი.

ისევ ცვლილებები

იმის გამო, რომ შეიცვალა სსრ კავშირის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრების თამაშების გრაფიკი კუბაში, საკავშირო ჩემპიონატის კალენდარი კვლავ დაირღვა. ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო



კომიტეტში ამჟამად ზუსტდება III წრის თამაშების კალენდარი, რომლის საბოლოო ვარიანტი ჩვენი გაზეთის უახლოეს ნომერში გამოქვეყნდება.

დღესდღეობით კი ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ მორიგ შეხვედრას თბილისის დინამოელები ჩაატარებენ შინ 9 თებერვალს მინსკის რტი-ს წინააღმდეგ. 12 თებერვალს თბილისელები კაუნასის „ჟალგირისს“ უმასპინძლებენ.

მატჩი ლენინგრადის „სპარტაკთან“, რომელიც 9 თებერვალს უნდა გამართულიყო, გადატანილია 7 მარტისთვის, ხოლო ტარტუს „კალევთან“ 6 თებერვლის მატჩი — 9 მარტისთვის.

მეოთხედფინალები

ჩატარდა ევროპის კალათბურთელთა ტურნირების მეოთხედფინალური მატჩების მეორე სერია.

ჩემპიონთა თასი

ვაჟთა ოთხივე მატჩი დიდი ანგარიშით დამთავრდა. სოფიაში თამაშობდნენ ადგილობრივი „აკადემიკი“ და ავსტრიის ჩემპიონი, ვენის „ვინერბერგერი“. საინტერესოა აღინიშნოს, რომ პირველი მეოთხედფინალური მატჩი მეტოქეებმა წაგეს: „აკადემიკმა“ — მადრიდის „რეალთან“, „ვინერბერგერმა“ — ბელგრადის „რადნიჩკისთან“.

პირველი ტაიმი მასპინძლებმა 4 ქულით მოიგეს — 44:40. შესვენების შემდეგ „აკადემიკის“ უპირატესობა ამკარა იყო. გაიმარჯვა ბულგარეთის ჩემპიონმა — 94:79. აი, ვინ რა წვლილი შეიტანა თავისი კოლექტივის წარმატებაში: „აკადემიკი“ — გოლომეევი (29), დიმიტროვი (19), შარკოვი (11), რაიჩევი (10), ბერზაკოვი (9), დოიკოვი (8), ფილიპოვი (4), სმოჩევსკი (4), სახანიკოვი. „ვინერბერგერი“ — ბილიკი (27), რედი (20), ტეჩა (14), ლეგვედსი (6), ჰიტპალერი (5), ლესკოვი (4), პაველკა (3), შეინი.

ამ ჯგუფის მეორე წყვილი — „რეალი“ და „რადნიჩკი“ მადრიდში თამაშობდნენ. პირველ ტაიმში იუგოსლავიელებმა ასე თუ ისე გაუწიეს წინააღმდეგობა მეტოქეს, თუმცა კი 11 ქულით მაინც დამარცხდნენ (44:55). შესვენების შემდეგ „რეალის“ უპირატესობა ეჭვს არ იწვევდა. ესპანელებმა მოიგეს შეხვედრა — 113:74.

პირველ მეოთხედფინალურ ჯგუფში დამაჯერებლად ლიდერობს „რეალი“, რომელსაც 3 შეხვედრის ჯამში (ორი ბრძოლა — „აკადემიკთან“, ერთი — „რადნიჩკისთან“) გატანილი და მიღებული ბურთების შესაშური ბალანსი აქვს—325:242. II ადგილზეა „რადნიჩკი“. იუგოსლავიელები ჯერჯერობით ინარჩუნებენ ნახევარფინალში გასვლის უფლებას.

მეორე ჯგუფში დამაჯერებლად ახპარეზობს ჩემპიონთა თასის მფლობელი, იტალიის ქალაქ ვარესეს „ინისი“. ამჯერად იტალიელთა მეტოქე ანტვერპენის „რესინგი“ იყო. მატჩი გაიმართა ანტვერპენში. თასის მფლობელმა ბრძოლის ბედი ფაქტიურად პირველ ტაიმში გადაწყვიტა — 52:37. იტალიელები ინიციატივას ფლობდნენ შესვენების შემდეგაც და საბოლოო ჯამში დამაჯერებელი გამარჯვება იზეიმეს — 100:88.

საფრანგეთის ჩემპიონმა „ას ბერკმა“ დიდის უპირატესობით მოუგო ისრაელის „მაკაბის“ — 115:86 (60:44). ეს შედეგი ჯერჯერობით საკვალიფიკაციოდ ჩემპიონთა თასის წლევანდელ გათამაშებაში.

მეორე მეოთხედფინალურ ჯგუფში ჯერჯერობით ორი ლიდერია. იტალიელებმა მანამდე „მაკაბი“ დაამარცხეს, ფრანგებმა კი — „რესინგი“. 3 შეხვედრის ჯამში „ინისს“ გატანილი აქვს 276 ბურთი, მიღებული — 241, „ბერკს“ კი — 291 და 206.

გაიმართა ქალთა ტურნირის მატჩებიც.

პლოვდივში ბულგარეთის ჩემპიონმა „მარიცამ“ დაძაბულ ბრძოლაში სძლია საფრანგეთის „კლერმონ-ფერანს“ 65:55 (33:29). ამ შეხვედრაში, ყველაზე შედეგიანები იყვნენ: ბულგარელთაგან — ნეპკოვა (22), ფრანგებში — შაზალონი (20).

კიდევ უფრო დაძაბული აღმოჩნდა მატჩი პრაღაში ადგილობრივ „სლავიასა“ და ლოძის ლკს-ს შორის. პოლონელებმა მოიგეს თამაშის პირველი ნახევარი — 46:43. შესვენების შემდეგაც დიდხანს გაურკვეველი იყო, ვის დარჩებოდა გამარჯვება. ბრძოლის ბედი გადაწყდა ბოლო წუთზე. პოლონელებს ერთმა ზუსტმა სროლამ წარმატება მოუტანა — 78:77.

ამ ჯგუფში ჯერჯერობით უკეთესი მდგომარეობა აქვს სოფიის „მარიცას“, რომელმაც 3 შეხვედრა მოიგო ბურთების ბალანსით — 181:171.

მეორე ჯგუფშიც ორი შეხვედრა გაიმართა. ტტტ-მ ბუქარესტში „პოლიტექნიკას“ მოუგო — 75:42 (46:18), ხოლო ბუდაპეშტის მტკ-მ სძლია მილანის „სტანდას“ — 67:60.

მეოთხედფინალურ ტურნირს ამ გუნდებში დამაჯერებლად ლიდერობს თასის მრავალგზის მფლობელი ტტტ, რომელსაც 3 შეხვედრის ჯამში გატანილი და მიღებული ბურთების საუცხო სხვაობა აქვს — 236:131.

თასების მფლობელთა თასი

შედგა თასების მფლობელთა თასის გათამაშების ერთი მატჩი ვაჟთა გუნდების მონაწილეობით. ტურნირში ადგილობრივმა „საკლიამ“ დაამარცხა ბულგარეთის „ცსკ-„სეპტემვრი ი ს კ ო ზნამე“ 75:59 (41:32).

საქართველოს რეკორდები

მძლეოსნობა

1974 წლის 7 თებერვლისთვის

სახეობა	შედეგი	რეკორდსმენი	დამყარების წელი
ქალები			
რბენა			
100 მ	11,5	ვ. ჟუთათელაძე (თბილისი)	1969
200 მ	24,1	ნ. ხნიკინა (თბილისი)	1952
400 მ	57,3	გ. ზარაფეხსკაია (თბილისი)	1959
800 მ	2.13,6	რ. ზჩიკოვსკაია (თბილისი)	1967
1500 მ	4.18,0	საწყისი ნორმატივი	
3000 მ	9.32,0	საწყისი ნორმატივი	
ესტაფეტა			
4×100 მ	47,1	საქართველოს ნაკრები (ლ. იევლევა, ვ. ჟუთათელაძე, თ. როუმანოვა, გ. კონონენკო)	1968
4×400 მ	3.55,2	საქართველოს ნაკრები (ლ. ჭარბაძე, ს. ტუსლენკო, ს. ივანოვა, მ. მეტრეველი)	1971
თარჯრბენი			
100 მ	13,6	ლ. იევლევა (თბილისი)	1971
ხტომა			
სიგრძეზე	625	ნ. ხნიკინა (თბილისი)	1958
	625	ლ. იევლევა (თბილისი)	1960
სიმაღლეზე	181	მ. ალიაკრინსკაია (თბილისი)	1978
ტყორცნა			
ბადრო	57,84	ლ. ტულუში (თბილისი)	1971
შუბი	51,58	ც. ლიპარტელიანი (თბილისი)	1968
ბირთვი	16,09	ლ. ტულუში (თბილისი)	1971
ხუთჭიდი	3935	ს. ხრიპკო (თბილისი)	1971
ვაჟები			
რბენა			
100 მ	10,3	ლ. სანაძე (თბილისი)	1959
	10,3	ე. ლომთაძე (თბილისი)	1961
	10,3	ა. ბედუკაძე (თბილისი)	1962
200 მ	21,2	ა. ანდრეევი (თბილისი)	1966
	21,2	თ. მდინარაძე (თბილისი)	1969
400 მ	47,5	ტ. ბახტაძე (თბილისი)	1967
800 მ	1.50,1	ე. ბონჩაროვი (თბილისი)	1968
1500 მ	3.48,3	ბ. სტარიჩკოვი (თბილისი)	1970
5000 მ	14.11,2	ა. მიქოიანი (თბილისი)	1972
10000 მ	28.49,6	ვ. ნესტერენკო (რუსთავი)	1978
მარათონი	2:24.32,0	ნ. ევსეევი (თბილისი)	1968
ესტაფეტა			
4×100 მ	40,8	საქართველოს ნაკრები (რ. მამალაძე, ი. კოზელსკი, ტ. ბახტაძე, ა. ანტონოვი)	1967
4×400 მ	3.10,8	საქართველოს ნაკრები (ზ. სარქისიანი, ა. ანდრეევი, ტ. ბახტაძე, ი. კოზელსკი)	1967
თარჯრბენი			
110 მ	13,7	ა. მოზიაშვილი (თბილისი)	1971
400 მ	50,7	ი. კოზელსკი (ქუთაისი)	1968
3000 მ წინაღობებით	8.37,6	ა. მიქოიანი (ახალციხე)	1978
სპორტული სიარული			
20 კმ	1:26.45,4	ა. ზჩერბინა (თბილისი)	1968
50 კმ	3:57.28,0	ა. ზჩერბინა (თბილისი)	1965
ხტომა			
სიმაღლეზე	217	რ. შავლაყაძე (თბილისი)	1964
სიგრძეზე	790	ვ. სანეევი (სოხუმი)	1967
სამხტომი	17,44	ვ. სანეევი (თბილისი)	1972
ჭოკით	500	მ. თათევოსიანი (თბილისი)	1972
ტყორცნა			
ბადრო	62,80	გ. გუდაშვილი (თბილისი)	1971
შუბი	80,98	კ. გორძამაშვილი (თბილისი)	1966
ურო	72,66	ჯ. ფხაკაძე (თბილისი)	1972
ბირთვი	18,91	მ. ოყროშიძე (თბილისი)	1970
ათჭიდი	7879	ი. დიაჩკოვი (თბილისი)	1968

სკოლა ზრუნვას საჭიროებს

გალის რუსთაველის სახელობის 1-ელი საშუალო სკოლა (დირექტორი საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი ლ. სოსელია) რაიონში ერთ-ერთი უძველესი და მოწინავე სასწავლებელია, მაგრამ ერთ საყვედურს მაინც იმსახურებს: აქ მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისთვის სათანადო პირობები არ არის შექმნილი.

ფიზკულტურის მასწავლებელმა მ. დანელიამ გულახდილად გვითხრა, რომ სკოლას, სადაც 1192 მოსწავლეა, ფიზკულტურის დარბაზი არა აქვს. ასეთივე დღეშია იქვე გვერდით მდებარე მე-2 საშუალო სკოლაც, სადაც 1000-ზე მეტი ბავშვი სწავლობს. 1-ელ სკოლას მართალია სპორტული მოედნები აქვს, მაგრამ ეს ბაზებიც მოუვლელია — წვიმის შემდეგ დამდგარი გუბეები დიდხანს არ შრება, ინვენტარი მოსაწესრიგებელია, რაც ამ ფოტოზეც კარგად ჩანს.

ვერ ვიტყვით, რომ ბავშვებს ფიზკულტურა და სპორტი არ უყვარდეთ: ხელბურთის, კალათბურთის, ფრებბურთის, ჭადრაკისა და სხვა სექციებში ასობით მოსწავლეა ჩაბმული, მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩასაბარებლად გამართულ შეჯიბრებებში თითქმის მთელი სკოლა მონაწილეობს, მაგრამ მარტო ენთუზიაზმი საქმეს არ შველის.

სკოლის დირექციამ, გალის რაიონის განათლების განყოფილებამ უნდა იზრუნონ, რომ მოსწავლეებს ხელრიანი სპორტული დარბაზი და ღია ბაზები ჰქონდეთ.

მ. ზაქარეიშვილის ტექსტი და ფოტო.
(ჩვენი სპეც. კორ.).

გალი.



ნიკოლა პეტროვი — XIX საუკუნის ყველაზე ღონიერი კაცი

ბულგარეთის სპორტულმა საზოგადოებრიობამ აღნიშნა გამოჩენილი სპორტსმენის, კლასიკურ ჭიდაობაში პირველი მსოფლიო ჩემპიონის ნიკოლა პეტროვის დაბადების 100 წლისთავი.

... 1900 წელი. პარიზში მოეწყო დიდი ტურნირი კლასიკურ ჭიდაობაში — პირველი მსოფლიო ჩემპიონატი ამ სახეობაში. ამ დროისთვის ბეჭდაუდებელი ბულგარელი ფალავნის ნ. პეტროვის სახელი მთელ მსოფლიოში იყო ცნობილი. პეტროვმა „ამერიკის ჩემპიონის“ ტიტულიც კი მიიღო.

პარიზში მსოფლიო ჩემპიონატი ორ თვეს გაგრძელდა. 27 წლის ბულგარელმა სპორტსმენმა ყველა ბრძოლა მოიგო. განსაკუთრებით შეუპოვარი იყო ფინალური შეხვედრა, სადაც ბულგარელი შეხვდა ფრანგ გოლიათს პოლ პონსს, რომელიც 145 კილოგრამს იწონდა. ბრძოლა 80 წუთს გაგრძელდა. გაიმარჯვა ნიკოლა პეტროვმა, რომელმაც მთელ მსოფლიოში ასახელა თავისი პატარა ქვეყანა. პეტროვს მკერდი დაუმშვენა ლენტმა, რომელზეც წარწერილი იყო:

„მსოფლიო ჩემპიონი — XIX საუკუნის ყველაზე ღონიერი კაცი“.

მსოფლიო ჩემპიონატს მოჰყვა პეტროვის ტრიუმფალური გამარჯვებები გერმანიის, რუსეთის, შეიცარიის, იტალიის, ჩეხოსლოვაკიის ხალიჩებზე.

პეტროვი სიკვდილამდე სპორტის ერთგული დარჩა.

ბულგარელები არ ივიწყებენ სახელგანთქმულ ფალავანს. დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით პეტროვს ძეგლი დაუდგეს მშობლიურ გორნაორიახოვიცეში. პეტროვის სახელი ეწოდა ქალაქის ახალ სპორტდარბაზსაც. ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქეები წარძალებით აგრძელებენ პეტროვის სახელოვან გზას. ამ ქვეყანაში ბევრი რამ კეთდება ჭიდაობის შემდგომი განვითარებისთვის. ბრწყინვალე ბულგარელ მოჭიდავეებს — კიროვს, ტომოვს, კოლევს, ტოდოროვსა და სხვებს მთელი მსოფლიო იცნობს.

სოფია.

საჭადრაკოდ

ასე ინთეგა ჰოკეის ვარსკვლავები

... ახალი, 1974 წლის პირველ დღეს ახალგაზრდული გუნდების „საცდელი“ მსოფლიო ჩემპიონატის მატჩი ფინეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების გუნდებს შორის საკმაოდ ადრე — 12 საათზე დაიწყო. მეტოქეებს უკვე ორ-ორი შეხვედრა ჰქონდათ წაგებული, მაგრამ ლენინგრადის სპორტის სასახლე „იუბილეინი“ მაინც სავსე იყო მაყურებლებით. ახალგაზრდა ჰოკეისტთა თითქმის ყველა მატჩს დიდ-ძალი ხალხი დაესწრო.

კანადის რაღაც სპორტულმა მიმმხილველმა ბილ ბენეტმა ერთ-ერთი მიმზიდველი, ცხარე ბრძოლის შემდეგ თქვა:

— ლენინგრადის ტურნირში ახალგაზრდული გუნდების თამაშმა უძლიერეს პროფესიონალთა შეჯიბრებებიც კი დაჩრდილა!

კანადის კლუბ „პიტერბორო პეტსის“ პრეზიდენტმა ედ რედმონდმა, თავის დროზე საუცხოო მოთამაშემ, 1958 წლის მსოფლიო ჩემპიონ „უტბი დანლოპსის“ მცველმა, შეჯიბრების შემდეგ განაცხადა:

— წინადადებას ვიძლევი კანადაში და საბჭოთა კავშირში ყოველწლიურად მოეწყოს რამდენიმე საერთაშორისო შეჯიბრება არა მარტო ახალგაზრდულ, არამედ საკლუბო გუნდებს შორისაც.

გაცნობებთ, რომ პირველი პრაქტიკული ნაბიჯები უკვე გადაიდგა: თებერვალში ცსკა-ს ახალგაზრდული გუნდი გაემგზავრება კანადაში, ხოლო მარტში საბჭოთა კავშირში კანადელი ჭაბუკები ჩამოვლენ.

ეჭვი არ გვეპარება, რომ მალე ახალგაზრდული ნაკრები გუნდების შეჯიბრებები ოფიციალურ მსოფლიო პირველობათა რანგში ჩატარდება.

გავეცნოთ ახალგაზრდული და მოზარდთა ჰოკეის მდგომარეობას იმ ქვეყნებში, რომელთაც ლენინგრადის ტურნირში მონაწილეობისთვის თავიანთი გუნდები გამოეზავნეს.

შვეიცარია და ფინეთში საკმაოდ ხანგრძლივი, მაგრამ შედარებით რბილი ზამთარი იცის (ეს, რა თქმა უნდა, უკიდურეს ჩრდილოეთს არ ეხება). ისევე როგორც საბჭოთა კავშირში, ბავშვები იქ ჰოკეის სწავლას ეზოებში და სასკოლო მოედნებზე იწყებენ. სპორტინვენტარი, მართალია, იაფი არ არის, მაგრამ მშობლები ხარჯებს არ ერიდებიან.

აგერ უკვე თხუთმეტი წელია შვეიცარიაში ყოველ ზამთარს ათასობით თვითმოქმედი გუნდი მონაწილეობს ჰოპულარულ შეჯიბრებაში „ტელევიზიის თასზე“. მატჩში ორი პერიოდია, ხოლო თითოეული პერიოდი თხუთმეტ წუთს გრძელდება. მონაწილეთა ასაკი 16 წელს არ უნდა აღემატებოდეს. თასის გათამაშების ფინალში მონაწილეობენ ქვეყნის 23 ოლქის საუკეთესო გუნდები. ამ შეხვედრებს ტელევიზიით მილიონობით მაყურებელი ადევნებს თვალს. მონაწილეთაგან საუკეთესოებს მწვრთნელ-სელექციონერები მოზარდთა და ახალგაზრდულ გუნდებში იწვევენ. ასეთი გუნდები ყველა ლიგის კლუბებთანაა შექმნილი. ნორჩი ჰოკეისტები უზრუნველყოფილი არიან ინვენტარით. მათს განკარგულებაშია სტადიონები სავარჯიშოდ და შეჯიბრების ჩასატარებლად.

წლევანდელი სეზონიდან დააწესეს სპეციალური პრემია ავტოკატასტროფის შედეგად დაღუპული სახელგანთქმული შვედი ჰოკეისტის ლენარტ სვედბერგის ფონდიდან. პრემია მიეცემა იმ მცველს, რომელიც ყველაზე მეტად გამოიჩენს თავს შვეიცის ტელევიზიის თასის გათამაშებაში. ამ პრემიის ლაურეატს კანადაში გამგზავრების საშუალება ეძლევა.

ნორჩ ჰოკეისტებს საერთაშორისო შეხვედრათა საინტერესო კალენდარი აქვთ. ტურნეები უცხოეთში ყველაზე პატარებისთვისაც კი ეწყობა. 1973 წლის დეკემბერში, მაგალითად, მოსკოვში იყო გუნდი სტოკჰოლმის გარეუბან ტიურესედან, რომელშიც 9-11 წლის ბიჭები შედიან.

ხშირად შეჯიბრებების მონაწილე ნორჩ ჰოკეისტებს სვიტერებზე ამა თუ იმ ფირმის რეკლამა აქვთ ამოქარგული. ასეთ შემთხვევაში საზღვარგარეთ მოგზაურობის ხარჯებს ბიზნესმენები იხდიან.

1967 წელს „ტრე კრუნერის“ ყოფილი მწვრთნელის არნე სტრემბერგის თაოსნობით შვეიცარიაში შეიქმნა ახალგაზრდული ნაკრები „ვიკინგები“. ერთი სეზონის მანძილზე მოთამაშეები, რომელთა ასაკიც 23 წელს არ აღემატება, ოცამდე საერთაშორისო შეხვედრას ატარებენ. ორ წელიწადში ერთხელ „ვიკინგებისთვის“ ეწყობა ტურნე კანადაში ან ამერიკის შეერთებულ შტატებში. თავის დროზე „ვიკინგებიდან“ გადავიდნენ შვეიცის პირველ ნაკრებში ძმები აბრაჰამსონები, ბერგმანი, შებერგი, ანდერსონი, სალმინგი, ხ. კარლსონი, სედერსტრიომი და სხვა ცნობილი ოსტატები.

ფინეთში იუნიორთა გუნდების რიცხვი რამდენადმე უფრო ნაკლებია, ვიდრე შვეიცაში, მაგრამ ათასამდე ახალგაზრდა ჰოკეისტი მაინც რეგულარულად მონაწილეობს ოფიციალურ შეჯიბრებებში.

ფინეთის ჰოკეისტთა კავშირის მესვეურები დიდ ყურადღებას აქცევენ ეროვნული ნაკრების რეზერვის მომზადებას. დეკემბერში, მაგალითად, ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრებისთვის კანადაში ორკვირიანი ტურნე მოეწყო.

მწვრთნელებისთვის იოლი არ იყო გუნდების დაკომპლექტება ლენინგრადის „საცდელი“ მსოფლიო ჩემპიონატისთვის, ვინაიდან ძლიერი კანდიდატი ძალიან ბევრი აღმოჩნდა. მოთამაშენი შეარჩიეს არა მარტო ლიდერი გუნდებიდან — „ილვესიდან“ (მეკარე ვირხიმო) და „ტაპარიდან“ (თავდამსხმელი რაუტიაინენი), არამედ ნაკლებად ცნობილი „ლუკოდან“ (თავდამსხმელი ვილა) და „საიპიდანაც“ (თავდამსხმელი ტურუნენი).

ჩეხოსლოვაკიაში ჰოკეი სპორტის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სახეობაა. ისევე როგორც საბჭოთა კავშირში, იქ სხვადასხვა ლიგის ოსტატთა გუნდებთან შექმნილია მოსამზადებელი ჯგუფები. შემოდგომაზე მოსკოვში ერთი კვირა გაატარა ჩეხოსლოვაკიის მრავალგზის ჩემპიონ „დუკლას“ მწვრთნელმა ი. პიტერმა, რომელმაც შეიხსწავლა ნორჩ ჰოკეისტებთან მუშაობა ცსკა-ში.

1966 წელს საკავშირო ალკა ცენტრალურმა კომიტეტმა „ოქროს შაიბის“ პრიზზე გამართულ ფინალურ შეჯიბრებაზე მოიწვია ჩეხოსლოვაკიის ახალგაზრდული ორგანიზაციის წარმომადგენლები. შემდეგი წლიდან ჩეხოსლოვაკიაშიც დაიწყო 12-14 წლის ბავშვთა გუნდების მასობრივი შეჯიბრების ჩატარება „ეროვნული ნაკრების“ პრიზზე. სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ბავშვთა საუკეთესო გუნდები ბევრჯერ შეხვედრიან ერთმანეთს.

ბავშვთა სპორტის განვითარებას დიდ ყურადღებას უთმობს ჩეხოსლოვაკიის განათლების სამინისტრო. ბევრ სკოლაში შექმნილია სპორტული კლასები სხვადასხვა სახეობაში, მათ შორის ჰოკეიშიც. ბავშვები ერთად სწავლობენ V-VIII კლასებში, თანაც, ერთ გუნდში თამაშობენ. კლასის ხელმძღვანელ-პედაგოგს სპეციალური ფიზკულტურული განათლება უნდა ჰქონდეს.

ჩეხოსლოვაკიელი მეგობრები დიდი ინტერესით ეცნობიან საბჭოთა სპეციალისტების გამოცდილებას ფიზკულტურისა და სპორტის ორგანიზაციის საკითხში. გვიქრობთ, ჩვენთვისაც სასარგებლო იქნებოდა მათგან გამოცდილების გადმოღება. ეს განსაკუთრებით სპორტინვენტარის წარმოების საკითხს ეხება. იაფი და მაღალხარისხოვანი სპორტინვენტარი ნორჩი ჰოკეისტებისთვის ქვეყნის ყველა ქალაქსა და სოფელში იყიდება.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის პროფესიონალ ჰოკეისტთა უმეტესობამ თავისი კარიერა იუნიორთა კლუბებში დაიწყო. ჰოკეის სამშობლოში სამი ათეული ასეთი კლუბია. ამ კლუბების ხელმძღვანელი ონტარიოს პროვინციის პატარა ქალაქებშია გაბნეული. ონტარიოში სიძლიერის მიხედვით დაახლოებით 11 ადგილზეა „პიტერბორო პეტსი“, რომელიც კანადის ჰოკეის სახელს იცავდა ლენინგრადის შეჯიბრებაში. გუნდის წევრთა ასაკი 16-20 წელი იყო. ექვსი მათგანი იუნიორთა გუნდში სკოლისა და ეზოს კოლექტივებიდან მოვიდა. დანარჩენები მწვრთნელებმა სხვა ქალაქებსა და პატარა დაბებში შეარჩიეს ბილა ივო, მაგალითად, ამერიკის ქალაქ დეტროიტიდან მიიწვიეს გუნდში (ალბათ ბედის ირონია იყო, რომ ფინალურ სასტვენამდე რვა წამით ადრე კანადელთა და ამერიკელთა მატჩში სწორედ მან გაიტანა გადამწყვეტი შაიბა).

„პიტერბორო პეტსის“ მოთამაშენი ერთი სეზონის მანძილზე დაახლოებით 70 მატჩს ატარებენ პროვინციის ჩემპიონატში. ონტარიოში, კვებეკში და დასავლეთ კანადაში პირველ ადგილებზე გასული გუნდები შემდეგ ქვეყნის საუკეთესო იუნიორთა გუნდის ტიტულისთვის ხდებიან ერთმანეთს. ყოველი „სანერგის“ მეპატრონეები და მწვრთნელები, რასაკვირველია, დაინტერესებული არიან თავიანთი შეგირდების წარმატებით, მაგრამ პირველ ყოვლისა იმისთვის ზრუნავენ, რომ რაც შეიძლება მეტი მოთამაშე მოუმზადონ პროფესიულ გუნდებს. ყოველი ასეთი მოთამაშის მომზადებისთვის იუნიორთა კლუბი 500-დან 2000 დოლარამდე იღებს.

მენეჯერებმა ლენინგრადში თვალი დაადგეს მცველებს ტურკევიჩსა და მაკინტოშს, მეკარე სალაივს, თავდამსხმელებს — ეფოს, ჯერვისსა და სკამურას.

21 წლის ჰოკეისტმა კანადაში ან პროფესიულ გუნდთან უნდა დადოს ხელშეკრულება, ან უფროსების მოყვარულთა გუნდში გადავიდეს.

ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ ამერიკის შეერთებულ შტატებში პროფესიულ კლუბებსა და ეზოს გუნდებს შორის ნამდვილი უფსკრული იყო. ამჟამად მ. ვილმსონი, რომელმაც ამერიკის ნაკრები საპოროს ოლიმპიურ თამაშებში საპატიო კვარცხლბეკის „ვერცხლის საფეხურზე“ აიყვანა, ახორციელებს მოზარდთა ჰოკეის განვითარების „სამწლიან გეგმას“ (მისი შტაბ-ბინა მინესოტაშია). რამდენიმე შტატში უკვე შეიქმნა იუნიორთა გუნდები.

ამერიკელები ისევე მკაცრი, რამდენადმე ხწორხაზოვანი, მაგრამ რაციონალური მანერით თამაშობენ, როგორც კანადელები. თუმცა, ბ. ვილმსონმა ლენინგრადში რამდენიმეჯერ აღნიშნა: „ჩვენ აქ ჩამოვედით, რათა ბევრი რამ სინტერესო გადავიღოთ და ვისწავლოთ არა მარტო კანადელებისგან, არამედ ევროპელებისგანაც, პირველ ყოვლისა — საბჭოთა ჰოკეისტებისგან“.

აი, ასე ამზადებენ მომავალ ვარსკვლავებს ხუთ „ჰოკეის“ ქვეყანაში.

ვ. დვორცოვი.



უოველი საერთაშორისო ტურნირი მიზნად ისახავს სხვადასხვა ქვეყნის სპორტსმენთა ეგზობრული კონტაქტების განმტკიცებას. ამ მხრივ გამონაკლისს არც თბილისის ტრადიციული ტურნირი წარმოადგენდა. მაყურებლები და სპორტსმენები გულთბილად ხვდებოდნენ უცხოელ სტუმრებს და ეს კიდევ უფრო უწყობდა ხელს საზეიმო ატმოსფეროს.

ამ ფოტოსურათის გადაღების თაოსანი ამერიკელი მსოფლიო ჩემპიონი ლ. კიზერი იყო. მან ფოტოკორესპონდენტ ა. კოტორაშვილს სთხოვა, თედიაშვილთან და იბრაჰიმოვთან ერთად გადამიღეთ სურათი. მართლაც, რა არის იმაზე სასიამოვნო, ვიდრე მეგობრებთან გატარებული დღეების გახსენება?

• • •

სურათზე: მარცხნიდან — ლ. კიზერი, ლ. თედიაშვილი და თბილისის საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული მ. იბრაჰიმოვი.

თბილისის საერთაშორისო ტურნირზე

გ. ფირცხალავას მეგობრული შარჟები

ბ. როსტომაშვილი (საქართველო)

ბ. ბიგაევი (სსრ კავშირი)

ხ. სიგერუ (იაპონია)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიკი და ტაკი გვაცყობინებენ

პელე იძლევა ინტერვიუს

ბელგრადის გაზეთ „სპორტის“ კორესპონდენტმა ინახულა პელე და სთხოვა გამოეთქვა თავისი შეხედულება ბრაზილიის ნაკრების ფეხბურთელებზე. გუნდში თავისი დაბრუნების შესახებ პელეს სიტყვაც არ დასცდენია, სხვებზე კი, ასეთი მოსაზრება გამოთქვა:

— ბრაზილიაში საკმაოდ არიან პირველხარისხოვანი ფეხბურთელები, გამოცდილებიც და ახალგაზრდებიც, რომლებსაც წარმატებით შეუძლიათ პირველობისთვის ბრძოლა. ბრაზილიის ნაკრებს ახლა ძალიან ძლიერი დაცვა ჰყავს: ზე მარია არ ჩამორჩება ჯალმა სანტოსს, პიაცა და პერეირა სტოპერებად შეუდარებლები არიან, მარკო ანტონიო კი პირდაპირ ფანტასტიკურად თამაშობს.

სასევარდაცვაში თავი მოიყარეს შესანიშნავმა ოსტატებმა — რიველინოთ, კლოდოალდომ და ქაულო ცეზარმა, რომელთა სახელები არ საჭიროებს ზედმეტ კომენტარებს. უკეთეს მხარდაჭერას შუა მინდვრიდან ვერც ერთი გუნდის თავდასხმა ვერ იხატავს. დაუმატეთ ამას გერსონიც, რომელსაც ჯერ არ უთქვამს თავისი საბოლოო სიტყვა ფეხბურთში (სხვათა შორის, გერსონს „კვამლის მყლაპავს“ უწოდებენ, ვინაიდან დღეში 80 სიგარეტს ეწევა).

ყაირზინიო ყველაზე უდავო კანდიდატია ცენტრალური თავდამსხმელის პოსტზე, — თქვა პელემ. — გარეშარბებად, ალბათ, ითამაშებენ დირსეო და ლევინია.

დასასრულ, პელემ დაიმოწმა ცნობილი ევროპელი სპეციალისტის გ. შაროშის სიტყვები, რომ „ბრაზილიელები ძაძიხაც ძოისხახენი არიან, როცა აგებენ“, ახლა კი მსოფლიო ჩემპიონებს სულაც არა აქვთ გადაწყვეტილი თავიანთი ტიტულის დათმობა.

საწინააღმდეგო შეხედულებანი

შოტლანდიის „სელტიკის“ მენაჯერმა, ავტორიტეტულმა სპეციალისტმა ჯ. სტაინმა ჟურნალისტებს გახუცხადა რომ, მისი აზრით, იუგოსლავიელები 13 თებერვალს აუცილებლად მოუგებენ გადამწყვეტ დამატებითს შეხვედრას ესპანეთის ნაკრებს, რის შემდეგაც ბრაზილიელებთან ერთად გავლენ ფინალური თამაშების მეოთხედფინალში.

როგორც ხედავთ, შოტლანდიის ნაკრებს ჯ. სტაინი წარმატების არავითარ შანსს არ უტოვებს, მაგრამ საწინააღმდეგო შეხედულებისაა შოტლანდიის ნაკრების სელექციონერი უ. ორმენდი. იგი ჟურნალისტთა წრეებში ცნობილია იმით, რომ მუდამ თავს იკავებს პროგნოზებისგან, ახლა კი გადაუხვია თავის წესს და თქვა: „ფიფა-ს თასს მოიგებენ ბრაზილიელები. ეჭვი არ მეარება. შოტლანდიის ნაკრებზე კი იმას ვიტყვი, რომ ტყუილად გვთვლიან აუტსაიდერებად. სრულიადაც არ მიგვაჩნია თავი გახწირულად...“

დაუბრუნდებიან ნაკრებს

ურუგვაის ნაკრების მწვრთნელმა რ. პორტამ ჩამოთვალა თავისი ნაკრების ის ფეხბურთელები, რომლებიც ახლა უცხოეთის სხვადასხვა ქვეყანაში თამაშობენ, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისთვის დაუბრუნდებიან ურუგვაის: მაზურკევიჩი, ანჩეტა, როჩა, ფორლანდი (ბრაზილიაში არიან), პავონი (არგენტინა), ესპარაგო (ესპანეთი). სწორედ ისინი წარმოადგენდნენ მეხიკოს მსოფლიო ჩემპიონატში ურუგვაის ნაკრების ბირთვს.

რ. პორტამ დაადასტურა ცნობა, რომ ეროვნული ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა ლ. უბინასმა დაამთავრა ფეხბურთელის კარიერა და ურუგვაელთა გუნდის მეორე მწვრთნელად დაინიშნა.

გულშემატკივრები. ა. ააკოვის ფოტო.

ინგლისი

განვლილი, XXVII ტური „ლიდს იუნაიტედისთვის“ კვლავ იღბლიანი გამოდგა — მან შინ ფრეს მიაღწია ლონდონის „ჩელსისთან“ — 1:1. 27 ტური წაუგებელად — აი, ლიდსელთა რეკორდი!

„ლივერპულის“ ცენტრალურმა თავდამსხმელმა კორმაკმა „ნორვიჩ-სიტი-სთან“ შეხვედრის ბოლო წამზე შეძლო გოლის გატანა — 1:0. ლონდონის „არსენალმა“ შინ ფრედ ითამაშა „ბერნლისთან“ — 1:1, „კოვენტრი-სიტიმ“ სძლია „მანჩესტერ იუნაიტედს“ — 1:0, „მანჩესტერ-სიტიმ“ ფრედ ითამაშა XVI ადგილზე მყოფ ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურთან“ — 0:0.

აი, ლიდერთა ხუთეული:

	თ.	ბ.	ქ.
„ლიდს იუნაიტედი“	27	46:15	44
„ლივერპული“	27	35:22	37
„დერბი ქაუნთი“	27	33:25	31
„ბერნლი“	26	34:30	31
„ლეისტერ-სიტი“	27	36:27	30

შოტლანდია

გლაზგოს „სელტიკმა“ სტუმრად წააგო „მადერველთან“ — 2:3. ფუსტად ასეთივე ბედი ეწია „გლაზგო რეინჯერსს“ გლაზგოში „არბროთთან“. ედინბურგის „ჰიბერნიენმა“ მოუგო „აბერდინს“ — 3:1.

„სელტიკი“	20	56:15	34
„ჰიბერნიენი“	20	44:23	30
„გლაზგო რეინჯერსი“	20	33:19	26
„ეირ იუნაიტედი“	22	29:23	26

გფრ

„შტუტგარტმა“ შინ დაამარცხა ყოფილი ლიდერი, ფრანკფურტის „აინტრახტი“ — 3:1. „ბაიერნმა“ — დასავლეთ ბერლინის „ჰერტა“ — 3:1, ხოლო მენჰენგლადბახის „ბორუსიამ“ — „ვერდერალერ შპორტფერაინი“ — 7:1.

„ბაიერნი“	21	41:32	29
„ბორუსია“	21	60:40	28
„აინტრახტი“	21	41:32	28

ბელგია

ბრიუსელის „ანდერლეხტმა“ XVII ტურში შინ მოუგო „დისტს“ — 2:0.

ჩეჯიოლსკეზი, ბერტრეგი, ციდეჯეზი

„ფკ ბრიუგმა“ ფრედ ითამაშა „ვარეგემთან“ — 2:2.

„ანდერლეხტი“	17	42:16	27
„ანტვერპენი“	17	29:17	22
„რასინგ ვიტი“	17	26:15	21

გდრ

ლიდერმა — იენის „კარლ ცეისმა“ სძლია ერფურტის „როტ-ვაისს“ — 2:1. საუკეთესო სნაიპერია მატოული (ლაიფციგის „ლოკომოტივი“) — 14 ბურთი.

„კარლ ცეისი“	14	32:14	22
„მაგდებურგი“	14	27:19	19
„დინამო“ (დრეზდენი)	14	28:23	18

საფრანგეთი

XXIV ტურის ცენტრალური მატჩი ნანტში ადგილობრივ „ნანტსა“ და „სენტ-ეტიენს“ შორის მასპინძლთა გამარჯვებით დამთავრდა — 3:1. „სტად რეიმსის“ სამმა არგენტინელმა მოთამაშემ — ბიანკიმ, პენამ და ლარენიემ რეიმსში თითო გოლი გაიტანეს „რესინგ სტრასბურგის“ კარში — 3:2.

„ნანტი“	23	41:23	39
„სენტ-ეტიენი“	24	42:28	39
„ლანი“	24	42:37	35

იტალია

ეკვე დიდი ხანია იტალიის ჩემპიონატში არ ყოფილა ნამდვილი ლიდერი. რომის „ლაციომ“ შარშან თითქოს ახალი სტილი შეიტანა იტალიის ჩემპიონატში, წლიულს კი ლიდერობა დისკუსიურად და საკმაოდ ადვილად უგებს მეტოქეებს. გუნდის წამყვან ძალად ახლა გაზრდა მოთამაშეები კინალია, გარლაშელი, რე ჩეკონი, ვილსონი და სხვები იქცნენ. XV ტურში „ლაციომ“ შინ მოუგო „ბოლონიას“ (4:0) და ლიდერის პოზიცია განიმტკიცა.

„ლაციო“	15	19:7	23
„იუვენტუსი“ (ტურ.)	15	25:15	20
„ნაპოლი“	15	17:9	20
„ფიორენტინა“	15	17:9	20
„მილანი“	15	22:18	18

ჰოლანდია

ამსტერდამის „აიაქსმა“ მოუგო „ნიმეგენს“ — 2:1, როტერდამის „ფეიენოორდმა“ — „ჰაარლემს“ — 1:0, „ეინდჰოვენმა“ კი ფრედ ითამაშა ენსხედეს „ტვენტესთან“ — 1:1.

„აიაქსი“	20	64:16	34
„ფეიენოორდი“	20	61:21	32
„ტვენტე“	20	34:13	32

ესპანეთი

გათამაშების XX ტურში მადრიდის „ატლეტიკომ“ დაამარცხა „ლას-პალმასი“ — 3:1. მადრიდის „რეალმა“ რამდენიმე ტურში წარუმატებლობის შემდეგ შინ სძლია I ლიგის ახალბადა „მურსიანს“ — 1:0.

„ბარსელონი“	19	41:13	28
„მალაგა“	20	20:14	25
„რეალ სარაგოსა“	20	25:18	25

საბერძნეთი

პირეოსის „ოლიმპიაკოსმა“ შინ მოუგო „არისას“ — 3:0. მისმა მეტოქემ ლიდერობისთვის ბრძოლაში პოენის „პანათინაიკოსმა“ აგრეთვე გაიმარჯვა („ფოსტირთან“ — 4:1).

„ოლიმპიაკოსი“	15	48:8	26
„პანათინაიკოსი“	15	33:10	25
„არისი“ (სალონიკი)	15	23:10	24

ჟურნალისტი: სარბიელზეა ჭენი ტურალი!

ავსტრალიელმა მოსწავლემ ჯენი ტურალმა ერთი კვირის განძილზე ორჯერ გააუჯობესა მსოფლიო რეკორდები თავისუფალი სტილით ცურვაში. 800 მეტრზე მისი შედეგია 8.52,97, 1500-ზე — 16.48,2.

ერთ დროს ორივე ეს მიღწევა ეკუთვნოდა ტურალის სახელგანთქმულ თანამემამულეს, სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონს შეინ გოულდს. მიუხედავად თამაშების შემდეგ გოულდმა დიდი სპორტი დატოვა, მოლო რეკორდები სხვა ქვეყნების სპორტსმენებმა დაისაკუთრეს და აი, ახლა, 13 წლის ჯენიმ კვლავ დაუბრუნა ეს მიღწევები „მუვანე კონტინენტს“.

საკდესის კორესპონდენტმა ავსტრალიაში ნ. მარკოვმა ვერ მოახერხა ტურალს შეხვედროდა სიდნეიში, სადაც ეს ნორჩი რეკორდსმენი ცხოვრობს. დაძაბულ ასპარეზობათა შემდეგ ჯენი ქალაქგარეთ იყო გასული დასასვენებლად. სამაგიეროდ, საკდესის სპორტული რედაქციის წარმომადგენელს სიამოვნებით ესაუბრნენ ტურალის მწვრთნელები ურსულა და ფორბს კარლაილები.

— ჩვენი მოწაფის წარმატებათა საიდუმლო პირველ ყოვლისა დიდ შრომისმოყვარეობაში უნდა ვეძიოთ, — თქვა ფორბსმა. — იგი ყოველდღე ორჯერ ვარჯიშობს — დილა-საღამოს, სულ ოთხ საათს. ამასთან, დღის მეორე ნახევარში საშუალოდ 7 კილომეტრს ფარავს, მეცადინეობებზე ვხვეწთ ცურვის ტექნიკას. ამ დროს სპორტის სხვა სახეობებს არ ვიყენებთ, მხოლოდ წყალში ვვარჯიშობთ.

რეკორდსმენის მწვრთნელმა საკდესის კორესპონდენტს უამბო, რომ ჯენი სიდნეის გარეუბანში ცხოვრობს, VIII კლასის მოსწავლეა, სპორტს რვა წლიდან მისდევს. სიმაღლით გოგონა 157,5 სანტიმეტრია, წონით — 45 კილოგრამი (შედარებისთვის მოვიყვანთ კარლაილის მეორე მოწაფის — გოულდის შესაბამის მაჩვენებლებს: 14 წლისა იგი წონით 59,5 კილოგრამი იყო, სიმაღლით — 171 სანტიმეტრი).

ახალი სამხრეთ უელსის შტატის პირველობაზე გამართულ შეჯიბრებაში ჯენი ტურალმა მსოფლიო რეკორდი დაამყარა. მაშინ მან ჟურნალისტებს უთხრა: „მე შემეძლო უფრო სწრაფადაც გამეცურა ეს მანძილი, მაგრამ მაინცდამაინც რეკორდის დამყარება არ მქონია განზრახული. ძლიერი მეტოქეები არ მყავდა და სისწრაფეს მხოლოდ შუა დისტანციიდან ვუმატებ, როცა შემთხვევით გაიგონე ჩემი საშუალედო შედეგი“.

საკდესი.

კანბერა.

შერიგდნენ

ყველას ახსოვს ის უსიამოვნო ინციდენტი, რომელიც 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატის დროს მოხდა ინგლისისა და არგენტინის ფეხბურთელთა შორის. ამ გუნდების მატჩი გამოირჩეოდა უხეშობით, ჩხუბით, მინდვრიდან გაძევეს არგენტინელი რატინი, ინგლისელთა მწვრთნელმა ა. რამსეიმ არგენტინელებს სახალხოდ უწოდა ცხოველები, ამის საპასუხოდ კი არგენტინის ხელისუფლებამ ოფიციალურად გამოაცხადეს, რამსეი ფეხს ვეღარასოდეს დაადგამს ჩვენს ქვეყანაშიო და ა. შ.

მაგრამ ცხოვრებას თავისი კორექტივები შეაქვს წარსულის აზებში. მომავალი, 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური თამაშები, როგორც ცხოლილია, არგენტინაში უნდა ჩატარდეს, ინგლისელებს კი არ სურთ „ცივი ომის“ განწყობილებაში იყვნენ ჩემპიონატის ორგანიზატორებთან, თანაც მას შემდეგ, რაც წლევანდელ გათამაშებაში ფიასკო განიცადეს პოლონეთის ნაკრებისგან.

ინგლისელთა თაოსნობით, ორი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციათა შორის ყინული გალღვა გადაწყდა განახლდეს მჭიდრო კონტაქტები. კერძოდ, 22 მაისს არგენტინის ნაკრები ლონდონში შეხვდება მასპინძლებს, რის შემდეგ შინაც მიიღებს ინგლისელებს.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

თბილისის პარტიზანთა სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის დირექცია ზამთრის სპორტის მოყვარულთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ ლისის ტბის მიდამოებში დიდი თოვლი დევს, ხოლო პარკის სპორტინვენტარის გამქირავებელ პუნქტს გასაქირავებლად აქვს საკმარისი რაოდენობის თხილამურები (ალპურ-ვილლობითა და ფეხსაცმლით) და ციგები. ამ ინვენტარით სარგებლობა შეუძლია ყველა მსურველს. ორგანიზაციებს ინვენტარი გადარიცხვით მიეცემათ.

გამქირავებელი პუნქტი ღიაა 11-დან 19 საათამდე.

ИНДЕКС 86448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 02461